საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030806810373620

№ 07-35/ო

13 / მარტი / 2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საკონკურსო კომისიის, კომისიის სამდივნოსა და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის, “საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე–5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) 2020 წლის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ უფროსი სოციალური მუშაკებისის/უფროსების, უფროსი სოციალური მუშაკების და სოციალური მუშაკების ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით, ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას სააგენტოს საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლაშა ჯინჯიხაძე** – სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ირმა ალადაშვილი** - სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **მერი მაღლაფერიძე** - სააგენტოს დირექტორი, კომისიის წევრი;

დ) ზვიად ჩადუნელი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) **ნინო აბრამიშვილი** - სააგენტოს აპარატის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) **თინათინ ხარძიანი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ზ) **ალექსი ჟვანია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

თ) **სალომე ნამიჭეიშვილი** - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

ი) **ზურაბ ტატანაშვილი** - ექსპერტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, კომისიის წევრი;

კ) **ნინო ნუცუბიძე** - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრი, კომისიის წევრი;

2. კომისიამ უზუნველყოს შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

ა) კონკურსის ეტაპების განსაზღვრა;

ბ) ქულათა სისტემის შემუშავება და შესაბამისი შეფასების ფორმის დამტკიცება;

გ) კონკურსის ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე.

5. კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

6. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისია თითოეულ ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. ამ ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის სხდომის ოქმი კონკურსის შედეგების მიხედვით, მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წარედგინება სააგენტოს დირექტორს.

8. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განაცხადი, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ კომისია დასაბუთებულ უარს განაცხადებს ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

9. კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

10. კომისიამ კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობოს ყოველ კანდიდატს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

11. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების, ასევე, კონკურსის პირველი ეტაპზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის (რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას) მიზნით, შეიქმნას კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ანი მამულაშვილი** - სააგენტოს აპარატის სპეციალისტი;

ბ) **თამარ ბუზალაძე** - სააგენტოს აპარატის სპეციალისტი;

12. დაევალოს სამდივნოს:

ა) კონკურისის ჩატარებისთვის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა.

ბ) კონკურსის დასრულებისთანავე, მაგრამ არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ასახოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში.

13. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნათია ბერიკაშვილი** – სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ირაკლი ჭყონია** – სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **ზაზა ხუხუნაიშვილი** - სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის უფოსის და იმავდროულად, მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

დ) **მანანა ფურცხვანიძე** – ა(ა)იპ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი, კომისიის წევრი.

14. დაევალოს საპრეტენზიო კომისიას, უზრუნველყოს კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის" შესაბამისად.

15. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებს იღებს ელ.ფოსტის მეშვეობით: contact-atipfund@moh.gov.ge ან მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა.

16. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მერი მაღლაფერიძე